

დებატებისა და რიტორიკის კლუბი

ლაწეებითი საფეხური (IV–VI კლასები)

პროგრამის ხელმძღვანელი: მარიამ დანელია

სასწავლო წელი: 2025–2026

ზოგადი ინფორმაცია

სამიზნე ჯგუფი: IV–VI კლასების მოსწავლეები

ხანგრძლივობა: 4 თვე

შეხვედრების სიხშირე: კვირაში 2-ჯერ

ერთი შეხვედრის ხანგრძლივობა: 40 წუთი

სულ შეხვედრები: 32

პროგრამის მიზანი

დებატებისა და რიტორიკის კლუბის მიზანია ბავშვებისთვის კომუნიკაციისა და აზრის ეთიკურად გამოხატვის სწავლა საინტერესო და სახალისო ფორმით. კლუბში მოსწავლეები ღისნეის და სხვა ანიმაციების, ქართული და მსოფლიო ზღაპრების, მცირე მოთხრობების, სამაგიდო თამაშების და კომიქსების მეშვეობით სწავლობენ საკუთარი აზრის თამამად გამოთქმას, სხვისი ყურადღებით მოსმენას და განსხვავებული აზრის პატივისცემას. პროგრამა ეხმარება ბავშვებს გახდნენ უფრო თავდაჯერებულები, აქტიურები და კომუნიკაბელურები.

I თვე – საუბარისა და აზრის გამოხატვის საფუძვლები

შეხვედრა 1 – გაცნობა და კლუბის წესები

მიზანი: უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა.

აქტივობები: გაცნობითი აქტივობა; თამაში „მითხარი შენი საყვარელი გმირი“ (ღისნეი/ქართული ზღაპარი); კლუბის წესებზე შეთანხმება.

მოსალოდნელი შედეგი: მოსწავლეები გრძნობენ თავს უსაფრთხოდ და მზად არიან ღია საუბრისთვის.

შეხვედრა 2 – რა არის საუბარი (speech)

მიზანი: საუბრის მნიშვნელობის გააზრება.

აქტივობები: დისნეის ანიმაციის მოკლე სცენა (The Lion King, Frozen); ქართული ანიმაცია „წუნა და წრუწუნა“; განხილვა – ვინ ლაპარაკობდა და ვინ უსმენდა., ან და/სამაგიდო თამაში „COUP“.

მოსალოდნელი შედეგი: მოსწავლეები აცნობიერებენ საუბრის ორმხრივ ბუნებას.

შეხვედრა 3 – ემოციები ანიმაციაში

მიზანი: ემოციების ამოცნობა და დასახელება.

აქტივობები: Inside Out-ის სცენების განხილვა; ქართული ზღაპარი „ნაცარქექია“ (ანიმაციური ვერსია); ემოციების გამოხატვა მიმიკით.

მოსალოდნელი შედეგი: ემოციური ლექსიკის გაფართოება.

შეხვედრა 4 – ჩემი აზრის გამოთქმა

მიზანი: საკუთარი აზრის ფორმულირება.

აქტივობები: წინადადებების დასრულება „მე ვფიქრობ, რომ...“ ზღაპრის ან ანიმაციის მიხედვით.

მოსალოდნელი შედეგი: მოსწავლეები იწყებენ საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმას.

შეხვედრა 5 – მოსმენა

მიზანი: აქტიური მოსმენის უნარის განვითარება.

აქტივობები: თამაში „გაიმეორე მეგობრის აზრი“; მოკლე მოთხრობის მოსმენა და გადმოცემა, ან/და სამაგიდო თამაში „ასოციაციობანა“ ან/და „ალიანსი“.

მოსალოდნელი შედეგი: ყურადღებით მოსმენის უნარის ჩამოყალიბება.

შეხვედრა 6 – განსხვავებული აზრი

მიზანი: განსხვავებული პოზიციის მიღება.

აქტივობები: ერთი და იგივე ანიმაციური სცენის განსხვავებული შეფასება.

მოსალოდნელი შედეგი: ცოლერანგული დამოკიდებულება განსხვავებული აზრის მიმართ.

შეხვედრა 7 – კომიქსის კითხვა

მიზანი: ვიზუალური ტექსტის გააზრება.

აქტივობები: კომიქსის კადრების მიხედვით ამბის მოყოლა; სპეციალური კომიქსი „1001 ღამე“ (ადაპტირებული), ან/და სამაგიდო თამაში „Guesser“.

მოსალოდნელი შედეგი: ნარატიული აზროვნების განვითარება.

შეხვედრა 8 – პირველი თვის შეჯამება

მიზანი: რეფლექსია.

აქტივობები: წრე – „რა ვისწავლე ამ თვეში?“

მოსალოდნელი შედეგი: თვითშეფასების საწყისი უნარის ჩამოყალიბება.

II თვე – არგუმენტაციის საფუძვლები

შეხვედრა 9 – რა არის მიზეზი

მიზანი: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გააზრება.

აქტივობები: კითხვა „რაგომ?“ ქართული მღაპრების მიხედვით („კომბლე“, „სამი გოჭი“).

მოსალოდნელი შედეგი: ლოგიკური კავშირების დანახვა.

შეხვედრა 10 – აზრი და მიზეზი

მიზანი: მარტივი არგუმენტის ჩამოყალიბება.

აქტივობები: ფორმულა „ფიქრობ, რადგან...“ ანიმაციური მაგალითებით.

მოსალოდნელი შედეგი: არგუმენტირებული საუბრის საწყისი უნარი.

შეხვედრა 11 – პერსონაჟის დაცვა

მიზანი: პოზიციის დაცვა.

აქტივობები: Beauty and the Beast-ის პერსონაჟების ქცევის გამართლება, ან/და სამაგიდო თამაში „CLUEDO“ (ადაპტირებული), „SECRET HITLER“.

მოსალოდნელი შედეგი: თავდაჯერებული საუბარი.

შეხვედრა 12 – სხვადასხვა არგუმენტი

მიზანი: ალტერნატიული ამრების დანახვა.

აქტივობები: ერთ საკითხზე ორი განსხვავებული არგუმენტის მოფიქრება, სამაგიდო თამაში „PICTIONARY“.

მოსალოდნელი შედეგი: მოქნილი ამროვნება.

შეხვედრა 13 – კარგი და სუსტი არგუმენტი

მიზანი: არგუმენტის ხარისხის გარჩევა.

აქტივობები: ემოქეს იგავი „მელია და ყვაი“ – არგუმენტების შედარება.

მოსალოდნელი შედეგი: კრიტიკული ამროვნების განვითარება.

შეხვედრა 14 – ჯგუფური არგუმენტი

მიზანი: თანამშრომლობა.

აქტივობები: ჯგუფებში არგუმენტის მომზადება, ბრუნო ბაზგოს ანიმაციების განხილვა.

მოსალოდნელი შედეგი: გუნდური მუშაობის უნარი.

შეხვედრა 15 – მცირე გამოსვლა

მიზანი: საჯარო საუბრის პრაქტიკა.

აქტივობები: 1-წუთიანი გამოსვლა არჩეულ თემაზე.

მოსალოდნელი შედეგი: თავდაჯერებულობის ზრდა.

შეხვედრა 16 – მეორე თვის შეჯამება

მიზანი: მიღებული უნარების შეფასება.

აქტივობები: რეფლექსია – რა გამომივიდა საუკეთესოდ?

III თვე – დისკუსია და დებატები

შეხვედრა 17 – რა არის დისკუსია

მიზანი: დისკუსიის არსის გააზრება.

აქტივობები: Moana-ს ან Pinocchio-ს სცენის განხილვა; კამათისა და დისკუსიის შედარება.

მოსალოდნელი შედეგი: წესრიგიანი საუბრის გააზრება.

შეხვედრა 18 – დისკუსიის წესები

მიზანი: დისკუსიის საბაზისო წესების სწავლა.

აქტივობები: როლური თამაშები სწორი და არასწორი ქცევით.

მოსალოდნელი შედეგი: დისკუსიის წესების დაცვა.

შეხვედრა 19 – დებატების როლები

მიზანი: დებატებში მონაწილე როლების გაცნობა.

აქტივობები: მომხრის, მოწინააღმდეგისა და მსმენელის როლების განაწილება.

მოსალოდნელი შედეგი: საკუთარი როლის გაცნობიერება.

შეხვედრა 20 – მინი-დებატი ანიმაციის მიხედვით

მიზანი: დებატების პრაქტიკული გამოყენება.

აქტივობები: თემა ანიმაციიდან – სწორი იყო თუ არა გმირის გადაწყვეტილება.

მოსალოდნელი შედეგი: სტრუქტურირებულ დებატში მონაწილეობა.

შეხვედრა 21 – გუნდური დებატი

მიზანი: თანამშრომლობით არგუმენტირება.

აქტივობები: ჯგუფებად დაყოფა და არგუმენტების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი: გუნდური მუშაობის გაძლიერება.

შეხვედრა 22 – აქტიური მოსმენა

მიზანი: მსმენელის როლის გაძლიერება.

აქტივობები: მოსმენილი არგუმენტის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით.

მოსალოდნელი შედეგი: ყურადღებიანი მოსმენის განვითარება.

შეხვედრა 23 – ემოციების მართვა დებატში

მიზანი: ემოციური თვითკონტროლი.

აქტივობები: Inside Out-ის მაგალითების განხილვა.

მოსალოდნელი შედეგი: მშვიდი და გაწონასწორებული საუბარი.

შეხვედრა 24 – მესამე თვის შეჯამება

მიზანი: რეფლექსია და თვითშეფასება.

IV თვე – შემოქმედებითი რიგორიკა და შეჯამება

შეხვედრა 25 – კომიქსის იდეის შერჩევა

მიზანი: თემის შემოქმედებითი გააზრება.

აქტივობები: თემების არჩევა ქართული ზღაპრებიდან, დისნეის ანიმაციებიდან ან „1001 ლამიდან“.

მოსალოდნელი შედეგი: არჩეული თემის გააზრება.

შეხვედრა 26 – კომიქსის სიუჟეტის შექმნა

მიზანი: არგუმენტის ვიზუალურ ნარატივში გადაგანა.

აქტივობები: სიუჟეტის დაგეგმვა და პერსონაჟების განსაზღვრა.

მოსალოდნელი შედეგი: ლოგიკურად გამართული სიუჟეტი.

შეხვედრა 27 – კომიქსის შესრულება

მიზანი: იდეის ვიზუალური რეალიზება.

აქტივობები: კომიქსის დახატვა და ტექსტის დამატება.

მოსალოდნელი შედეგი: დასრულებული ნამუშევარი.

შეხვედრა 28 – ალტერნატიული დასასრული

მიზანი: კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

აქტივობები: ანიმაციის ან ზღაპრის სხვა დასასრულის შეთავაზება.

მოსალოდნელი შედეგი: განსხვავებული გადაწყვეტების დანახვა.

შეხვედრა 29 – სიგყვით გამოსვლის მომზადება

მიზანი: საჯარო მეტყველების განვითარება.

აქტივობები: მოკლე გამოსვლის დაგეგმვა კომიქსის მიხედვით.

მოსალოდნელი შედეგი: სტრუქტურირებული საუბარი.

შეხვედრა 30 – პრემენგაციები

მიზანი: ნამუშევრების წარდგენა.

აქტივობები: ჯგუფური ან ინდივიდუალური გამოსვლები.

მოსალოდნელი შედეგი: თავდაჯერებული პრემენგაცია.

შეხვედრა 31 – რეფლექსია და შეფასება

მიზანი: სასწავლო პროცესის გააზრება.

აქტივობები: რა ვისწავლე და რა გამიჭირდა.

მოსალოდნელი შედეგი: თვითშეფასების უნარის გაღრმავება.

შეხვედრა 32 – დასკვნითი შეხვედრა

მიზანი: კლუბის დახურვა.

აქტივობები: ნამუშევრების გამოფენა და საერთო დისკუსია.

მოსალოდნელი შედეგი: მიღებული უნარების გაცნობიერება.